რევაზ ლორთქიფანიძე
Revaz Lordkipanidze
Реваз Лордкипанидзе

# გლობალური და მაკროეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფისთვის: მეცნიერების პრიორიტეტები, სასიცოცხლო რისკების დაზღვევა, წვდომადი ხარისხიანი მედიცინა

# To the improve of the global and macroeconomic policy: the priorities of science, an insurance of vitally risks, an accessible quality medicine

# Для совершенствования глобальной и макроэкономической политики: приоритеты науки, страхование жизненных рисков, доступная качественная медицина

თბილისი
2017

მსოფლიო მეურნეობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალიზაციით ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის – რევაზ ლორთქიფანიძის წინამდებარე შრომა წარმოადგენს წმიდა ქაშვეთის ტაძარში მოღვაწე მამა ღვთისოს (შალიკაშვილი) კურთხევით დაწყებული კვლევების გაგრძელებას მსოფლიო ეკონომიკისა და მაკროეკონომიკის პრობლემატიკაზე.

განკუთვნილია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და, ზოგადად, ეკონომიკის ქრისტიანული საფუძვლების საკითხებით დაინტერესებული ეკონომისტების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, უნივერსიტეტ გეომედის, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის, თბილისის ახალი საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და მასობრივი მკითხველისათვის.

**რედაქტორი** – ეკონომიკის დოქტორი, აკადემიკოს ა. გუნიას სახელობის ბიზნესის

აკადემიის საპატიო აკადემიკოსი დ. ჩლაიძე

**რეცენზენტები**:

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი ს. ფეტელავა;

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადადემიის აკადემიკოსი რ. სარჩიმელია.

ISBN 978-9941-0-9587-0 (PDF)

## *გლობალური და მაკროეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფისთვის: მეცნიერების პრიორიტეტები, სასიცოცხლო რისკების დაზღვევა, წვდომადი ხარისხიანი მედიცინა*

ეძღვნება ყოფილი და თანამედროვე ლიდერების კომპეტენციისა და ურთიერთპატივისცემის ამერიკულ ტრადიციებს, რომლებიც, გვჯერა, გაითვალისწინებენ წარსულის შეცდომებსაც. ჩვენ გვჭირდება მეწარმეთა არა მოჩვენებითი მეცნიერული იმიჯები, არამედ ნამდვილი მეცნიერული კომპეტენცია ყველაფერში, მათ შორის ახალ მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგში.

Dedicated to the American traditions of a competence and mutual respect of the former and modern leaders, which also will take into account errors of the past - we hope for it. We don't need demonstrative scientific images of businessmen - we need the real scientific competence in all, including the new world economic order.

**Посвящается Американским традициям компетентности и взаимоуважения бывших и современных лидеров, которые, верим, учтут также ошибки прошлого. Нам нужны не показательные научные имиджи предпринимателей, а научная компетентность во всем, в том числе новом мировом экономическом порядке.**

Merry Christmas, Sincerely great America and all developed and poor, but developing countries - Your good ideas makes all world historically better. Even so some untalented "humans" think against US (for example), but they don't remember own problems and say only about US regressive role. Stingy pays twice, but sometime generous pay also has great problems (we are for rational economic actions, wich sometime are on the minimal level, sometime - on the medium or maximal levels). America uses great money for UN and Healthcare, but these “humans” disturb and the economic tools don't give appropriate results. With the very risky time of the collapse of the Soviet Union, we are for the rational friendship on the base of UN and our mass way of Christ and Independence+

დაინტერესებულმა მკითხველმა იცის, რომ ჩემი შრომები [4] მიმართულია ადამიანის კეთილდღეობისა და სიღარიბის დაძლევისაკენ და განსაკუთრებით მაკვირვებს პრობლემა, თუ რატომ ინარჩუნებს მნიშვნელოვან მასშტაბებს სიღარიბე, მსოფლიო პროდუქტის არსებითი ზრდის მიუხედავად.

ხშირ შემთხვევაში, გაეროსა და განვითარებული ქვეყნების დიდი დახმარებების მიუხედავად, მდიდრდებიან საერთშორისო ფესვების მქონე ფარული მონოპოლიები და მათი შენიღბულად მეცნიერებატევადი ქვესტრუქტურები, რომლებიც, ამჯერად, თანამედროვე მსოფლიოში ფეხმოკიდებულ გენმოდიფიცირებულ ბიზნესს ჩაეჭიდნენ მასობრივად.

გაეროს მასშტაბური ფინანსური დახმარებების უკონტროლო ზრდის ნაცვლად, რომლებიც, მნიშვნელოვანწილად იკარგება და ილექება მონოპოლიების ყულაბებში, გამოსავალი, ჩვენი აზრით, არსებობს 2 მთავარი პრიორიტეტული მიმართულებით:

1) ქმედითი საერთაშორისო ანტიმონოპოლიური სამსახურის ამოქმედება, რომელიც დააკვირდება საერთაშორისო დახმარებების მიზნობრივ გამოყენებასა და, ზოგადად, საბაზრო ეკონომიკის მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფის პროცესს - კომპიუტერიზაციის დონის ზრდას ღარიბ ქვეყნებში, საბაზრო გარიგებების ვიდეომეთვალყურეობას, სრულყოფილ აღრიცხიანობას, სახელშეკრულებო საფუძვლების გაფართოებას და ა.შ.
2) გლობალური მეცნიერული (კვალიფიციურად მზრუნველი) მონიტორინგი სოფლის მეურნეობასა და მასთან დაკავშირებულ ინდუსტრიულ და სავაჭრო ინფრასტრუქტურაზე, ეკონომიკის ყველა დაკავშირებულ დარგში არსებული საჭირბოროტო პრობლემების მოსაგვარებლად.

როგორც ცნობილია, სიღარიბის ზრდასთან ერთად, განსაკუთრებით მწვავდება მასობრივ დაავადებათა გავრცელების პრობლემა. ფაქტია, რომ სასიცოცხლო პრობლემების თვითდინებაზე მიშვება და მოგებაზე ორიენტირებულ კერძო სექტორზე მინდობა ყოვლად დაუშვებელია. აღნიშნულის მაგალითია აშშ, რომელიც, ჯანდაცვის უდიდესი ფინანსური მხარდაჭერისა და უნიკალური მეცნიერული პოტენციალის მიუხედავად, ბავშვებისა და ზრდასრულთა ავადობის საუკეთესო მაჩვენებლებით ვერ ხასიათდება და, ამ მხრივ, მნიშვნელოვნად ჩამორჩება ინგლისს, სადაც ჯანდაცვა თითქმის მთლიანად სახელმწიფოს ხელშია კოორდინირებული, შესაბამისად, გარანტირებულია სასიცოცხლო რისკების დაზღვევა ბევერიჯის სიტემის საფუძველზე და, გარკვეულწილად, ბისმარკის ინსტრუმენტების გამოყენებითაც [7].

აშშ-ში ე.წ. მედიქეიდისა და მედიქეას პროგრამების მასობრივად მოქმედებისა და არამომგებიანი სამედიცინო ობიექტების (სადაც მოგება მხოლოდ ჯანდაცვითი ორგანიზაციის მოდერნიზება-გაფართოებაზე გამოიყენება და კერძო ინტერესით არ მოიხმარება) არსებობის მიუხედავად [იქვე], ობიექტების მეტწილად კერძო კუთვნილება და ფასების მონოპოლიურად ზრდის ნოყიერი შესაძლებლობები, როგორც ვხედავთ, მაინც აფერხებს სახელმწიფო ფინანსების ეფექტიან მიზნობრივ გამოყენებას.

ჩვენი აზრით, დაუშვებელია, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო მონოპოლიების ხელშეწყობა - ბუნებრივია, იშვიათი გამონაკლისის გარდა, როცა, ინდივიდუალური პირობების გათვალისწინებით, საზოგადოებრივი მონიტორინგიც განსაკუთრებით უნდა გააქტიურდეს.

საერთოდ, განვითარებული ქვეყნების უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ განვითარებად ქვეყნებში ყოვლად დაუშვებელია ეკონომიკური მექანიზმების ბრმად გადმოღება. ყველა ქვეყანა თავისი ორიგინალური ტრადიციებითა და განვითარების ციკლურობით ხასიათდება და ინდივიდულურ სპეციფიკებს (მ.შ. პოლიტიკასა და მის მატერიალურ საფუძველში - ეკონომიკაში) ღრმად მეცნიერული გააზრება სჭირდება. ქართული ეკონომიკის თანამედროვე რეალიების გათვალისწინებით ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინეს, რომ 1 ახალ სამუშაო ადგილს თანამედროვე სოფლის მეურნეობაში, ჯაჭვური რეაქციით, მინიმუმ, პოტენციურად 10-12 სამუშაო ადგილის შექმნა შეუძლია მრეწველობასა და დანარჩენ დარგებში.

„ბრმად გადმოღების“ მომხრეთა გასააზრებლად, აღვნიშნავ, რომ, მაგალითისათვის, საქართველოში ახლახან გამწვავებულ ინფლაციასთან დაკავშირებით, სავალუტო პანიკების იმპორტი მხოლოდ უარყოფითად მოქმედებს ბაზარზე - ჩემი გაანგარიშებებით, ლარის მიმდინარე ინფლაცია მთლიანად საგარეო ფაქტორებზე იყო დამოკიდებული (ურწმუნოთა მისამართით, დავამატებდი, რომ, ნამდვილად არ მეშლება, შეიძლება სხვა საგნები არა, მაგრამ მათემატიკა განსაკუთრებით მეხერხებოდა ბავშვობიდან - სკანავის ურთულეს ამოცანებს ზეპირად მყისიერად ვხსნიდი).

განვითარების მიმდინარე ეტაპზე, მხოლოდ ჭეშმარიტი მეცნიერულობა ყველაფერში და მეცნიერებზე გულწრფელი ზრუნვა და ექსპორტის სტიმულირების მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგია, დარწმუნებული ვარ, გადაარჩენს ჩვენს მადლიან ქვეყანას და იმედია, ეროვნული ბანკიც ღრმადმეცნიერულად მოაზროვნე კადრებით დაკომპლექტდება მომავალში და არა უაზრო სტატისტებით, რომლებიც ადამიანების ფინანსურ დაცულობაზე ნამდვილად არ ზრუნავენ და მათგან მაქსიმალური სარგებელის მიღებაზე არიან ორიენტირებული მხოლოდ.

დიდ შეცდომად მიმაჩნია კერძო საბანკო ინფრასტრუქტურის და მ.შ. თიბისისა თუ საერთაშორისო ბაზარზე სულ უფრო ცნობადი ქართული ბანკების ქარაგმულად დამნაშავეებად მოხსენიებაც ინფლაციაში - ამ შემთხვევაში, არავითარი კავშირი არ არის. ნუ გვავიწყდება, თუ რა რთული გზა განვლეს ბანკებმა დღევანდელ წარმატებულ მდგომარეობამდე და რამდენი დახმარება გაუწევია მათ ადამიანებისათვის ყველაზე მწვავე გაჭირვების დროს. საბანკო ინფრასრუქტურა განვითარებული წარმოებრივი სტრუქტურის წინაპირობად უნდა განვიხილოთ ძირითად კაპიტალში, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკაში დეტალურად მაქვს გააზრებული.

ეკონომიკის მარგი ქმედების ასამაღლებლად, იმპლიცირებულ (არაცხად) ხარჯებზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად (არ შეგაწყენთ მათი დეტალური კონსტატაციით - საბოლოო შედეგები წარმოდგენელია დანართებში), ევროკავშირის ექსპერტთა მეთოდოლოგიის ჩემს განვთარებაში გამოვავლინე შესაძლებლობა შეფასებისა, თუ რამდენად მართებული იქნება პრიორიტეტების მინიჭება ინვესტირებისას და ეფექტიანობის შეფასების ახალი მეტად საჭირო მაჩვენებელიც შევიმუშავე ხარჯების ხელოვნური გაბერვის თავიდან აცილების მიზნით, საბიუჯეტო დახმარებების მიზანშეწონილობის მონიტორინგის მეთოდებთან ერთად. შესაბამასიდ, შესაძლებელი იქნება მაქსიმალურად შევაფასოთ მეცნიერების პრიორიტეტები, სასიცოცხლო რისკების დაძლევის მიმართულებები (მ.შ. მინიმალურად სავალდებულოსთან შეხამებული რაციონალური კომბინირებული დაზღვევით) და ხარისხიანი ჯანდაცვის წვდომადობის ამაღლების სხვა გზები და მექანიზმები.

სამების ტაძარი და თანამედროვე ჭეშმარიტად ღვთისნიერი საქმეები განსაკუთრებით ახარებს ხალხს და ერთი ისტორიული დღეც მინდა გავიხსენო. მოგეხსენებათ, გაეროს სტრუქტურების მრავალი არსებითი სიკეთე იწვნია საქართველომ, მ.შ. საგანგაშო ჰიპერინფლაციის განმუხტვა, სხვადასხვა უმსხვილესი ფინანსური დახმარება ძნელბედობების ჟამს და ლიბერალური ურთიერთობები განვითარებულ ქვეყნებთან. ახლოვდება საქართველოს გაეროში გაწევრიანების 15 წლის იუბილე. მახსენდება, ამ დღეს, 1992 წელს, ედუარდ შევარდნაძემ მიგვიწვია. მაშინ ძალზე ახალგაზრდა მეცნიერ-ეკონომისტი და პოლიტიკოსი გახლდით. ვფიქრობ, ეს დღე უნდა აღინიშნოს. საბჭოთა იმპერიის დაშლა ძალზე რთული და რისკიანი საქმე იყო, რის შემდეგაც, საქართველოს მოსახლეობა რეკორდული მასშტაბებით დადგა ქრისტიანობისა [1] და ეკონომიკური დამოუკიდებლობის ურთულეს [2-3; 5-6], მაგრამ ღირსეულ გზაზე. ვფიქრობ, აღნიშნულის დავიწყება არ შეიძლება. გულწრფელი პატივით მინდა მოვიხსენო საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიაც და შემდგომი პოლიტიკური მოღვაწენი, რომლებთანაც, პირადადაც, ჩვენი მადლიანი ქართული მიწის ბევრი ისტორიული მოვლენა მაკავშირებს 1991 წლის ურთულესი დროის პირველი დემოკრატიული არჩევნებიდან.

უფლის მასობრივ გზაზე, მკითხველს ყოველთვის გულით გიხსენიებთ ტაძარში მთელი შემადგენლობით. გილოცავთ შობა-ახალ წელს 2017 და გულით გლოცავთ ჩემს პროფესიულ შვილებთან ერთად. განსაკუთრებით მინდა მივულოცო ჩვენი სტუდენტური კონფერენციების მიმდინარე და გასული წლების გრან-პრის მფლობელებს ნ. ჯიბლაძესა და ე. ბიბილეიშვილს, ჩვენი ამოცანების რეკორდულად სწრაფად ამომხსნელებს - ლ. ივანიშვილსა და მ. ფხიკლაშვილს, უნივერსიტეტ გეომედის განსაკუთრებით აქტიურ უნიჭიერეს სტუდენტებს - ფ. რეხვიაშვილს, ი. კენჭოშვილს, თ. გვარმიანს, ლ. გოგინაშვილს, თ. ქავთარაძეს, ქ. ჩიკვილაძეს, ლ. ხუნწარიას, ა. მახარეიშვილს, ლ. ლაზიაშვილს, გ. ბოჭორიშვილს, დ. ვასაძეს, ბ. ფიფიას, თ. მატუას, ა. მირიანაშვილს, თ. დემურაშვილს, ი. ფირცხალავას, ნ. ბიწაძეს, რ. თარბაიას, ბ. ფალავანდიშვილს, ზ. გოგონაძეს, კ. წითაშვილს, ლ. გურჩიანს, ხ. ქრისტესიაშვილს, ნ. ფურცელაძეს, ყველა თქვენთაგანს, ვინც მუდმივი სწავლის წყურვილითაა გულანთებული.

ჩვენმა კვლევებმა აჩვენა, რომ ძუნწი ნამდვილად ორჯერ მეტს იხდის, მომჭირნეს კი უმაღლესი შედეგი აქვს. მოხარული ვიქნები, თუ ჩვენს შრომებს პრაქტიკული გამოყენება ექნება მწვავედ აუცილებელი რეფორმების ეფექტიანად ორგანიზებაში.

## გამოყენებული წყაროები


1. საქართველოს საპატრიარქო http://patriarchate.ge/geo/
2. საქართველოს პარლამენტი http://www.parliament.ge/ge/
3. საქართველოს მთავრობა http://gov.ge/
4. რ. ლორთქიფანიძის შრომები https://en.wikipedia.org/wiki/Revaz_Lordkipanidze

   http://revaz-lordkipanidze.simplesite.com

5. მსოფლიო ბანკის ოფიციალური ინტერნეტგვერდი http://www.worldbank.org
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://www.geostat.ge
7. ინტერნეტქსელში არსებული ინფორმაციები:

   **აშშ** https://en.wikipedia.org/wiki/United_States

   https://ru.m.wikipedia.org/wiki/%D0%97%D0%B4%D1%80%D0%B0%D0%B2%D0%BE%D0%BE%D1%85%D1%80%D0%B0%D0%BD%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5_%D0%B2_%D0%A1%D0%A8%D0%90

   **ინგლისი** https://en.wikipedia.org/wiki/United_Kingdom

   http://mda-cro.com/rus/news/51.html

   **საფრანგეთი** https://en.wikipedia.org/wiki/France

   http://www.euro.who.int/__data/assets/pdf_file/0003/155550/E94856sumR.pdf

გერმანია https://en.wikipedia.org/wiki/Germany

http://m.dw.com/ru/%D0%BF%D0%BB%D1%8E%D1%81%D1%8B-%D0%B8-%D0%BC%D0%B8%D0%BD%D1%83%D1%81%D1%8B-%D0%BD%D0%B5%D0%BC%D0%B5%D1%86%D0%BA%D0%BE%D0%B9-%D1%81%D0%B8%D1%81%D1%82%D0%B5%D0%BC%D1%8B-%D0%B7%D0%B4%D1%80%D0%B0%D0%B2%D0%BE%D0%BE%D1%85%D1%80%D0%B0%D0%BD%D0%B5%D0%BD%D0%B8%D1%8F/a-5381833

https://ru.m.wikipedia.org/wiki/%D0%9C%D0%B5%D0%B4%D0%B8%D1%86%D0%B8%D0%BD%D0%B0_%D0%B2_%D0%93%D0%B5%D1%80%D0%BC%D0%B0%D0%BD%D0%B8%D0%B8


R.L.:
New Index
62%
38%
ROC
Golden Ratio


min
max
E
49-52%
Opt
ROC


E
R
5 10 15 20 25 30
16-21%
I
I = 15/u
3 5
15
12
10
3 5 10 15
u


100%
FC VC TC MC ATC
50 120 140 260 5,2
51 120 160 280 20 5,49
52 120 170 290 10 5,57


VC FC TC MC ATC
50 140 120 260 5,2
51 160 120 280 5,4
52 170 120 290 5,5
0,3%
150
0,2%
250
0,1%




P
Q
y=x+2
x+2=-0,5x+15
y=-0,5x+15
X+1=-0,5x+15


UN For All
Dignity and inclusion in the UN workplace
www.uncares.org/unforall




change
you want to see in the
world